ნეიროქირურგიის დეპარტამენტი

ემერიტუსი გიორგი ინგოროყვა

პროფესორი შოთა ინგოროყვა
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასისტენტ-პროფესორი ერეკლე ექვთიმიშვილი

ლაბორანტი მედეა ებრალიძე
სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი

ნეიროქირურგიის დეპარტამენტი

მოწვეული პედაგოგი ოთარ გახოკია

მოწვეული პედაგოგი გიორგი გეგია

ნეიროქირურგიის დეპარტამენტი

ნეიროქირურგიის დეპარტამენტი სათავეს იღებს 1972 წლიდან. პირველად ნეიროქირურგიის კურსი შეიქმნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრასთან. კურსის ხელმძღვანელი იყო პროფესორი როსტომ შელია. 1973 წელს კურსმა გადაინაცვლა სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრაზე.

1980-1987 წლებში კურსს ხელმძღვანელობდა პროფესორი ლევან თევდორაძე, ხოლო 1987-1994 წლებში პროფესორი როსტომ შელია.
1994 წლიდან კურსის ხელმძღვანელად აირჩიეს პროფესორი გიორგი ინგოროყვა. 2004 წლიდან ნეიროქირურგიის კურსი გარდაიქმნა ნეიროქირურგიის კათედრად, რომელიც შემდგომში ნეიროქირურგიის დეპარტამენტად გადაკეთდა.

ნეიროქირურგიის დეპარტამენტს 2020 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს ნეიროქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მსოფლიო ნეიროქირურგთა ასოციაციის წევრი, საქართველოში ბავშვთა ნეიროქირურგიის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, პროფესორი გიორგი ინგოროყვა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა აღნიშნული დარგის განვითარებაში.

2020 წლიდან ნეიროქირურგიის დეპარტამენტს სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი შოთა ინგოროყვა, ავსტრიის ნეირომეცნიერთა ასოციაციის, ნეიროქირურგიული საზოგადოების ევროპული ასოციაციის წევრი, რომელიც წლების მანძილზე მოღვაწეობდა ავსტრიაში ქ. ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკის ნეიროქირურგიის დეპარტამენტის უფროს ნეიროქირურგად.

ნეიროქირურგიის დეპარტამენტში თსსუ-ის სტუდენტებსა და რეზიდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ ევროპული დონის უწყვეტი სამედიცინო განათლება, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას. დეპარტამენტის კლინიკულ ბაზაზე დანერგილია დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.

დეპარტამენტში ხორციელდება შემდეგი პათოლოგიების ქირურგიული მკურნალობა:

- ხერხემლის ნეიროქირურგია: ხერხემლის სიმსივნური, დეგენერაციული და ტრავმული დაავადებები.
- თავის ტვინის სიმსივნური, ტრავმული და სისხლძარღვოვანი პათოლოგიები.
- ენდოვასკულური ნეიროქირურგია:თავის და ზურგის ტვინის სისხლძარღვოვანი პათოლოგიების ოპერაციული მკურნალობა.
- ბავშვთა ნეიროქირურგია: თავისა და ზურგის ტვინის პათოლოგიების ქირურგიული მკურნალობა.
- პერიფერიული ნერვების პათოლოგიები.

ნეიროქირურგიის დეპარტამენტი

ნეიროქირურგიის დეპარტამენტის თანამშრომლებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ უცხოელ კოლეგებთან, ხშირია უცხოელი კოლეგების ვიზიტები, ერთობლივი კონფერენციები, კონგრესები და ოპერაციები.

ნეიროქირურგიის დეპარტამენტი აკადემიურ საქმიანობას ახორციელებს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე დამტკიცებული სილაბუსების მიხედვით, მედიცინის ფაკულტეტის IV დაV კურსის სტუდენტებისთვის და ასევე მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის V კურსის სტუდენტებისთვის.

ნეიროქირურგიის დეპარტამენტის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ დიპლომისშემდგომი განათლების (სარეზიდენტო პროგრამა ნეიროქირურგიაში) პროცესში. პროფესორ შოთა ინგოროყვასა და პროფესორ გიორგი ინგოროყვას ხელმძღვანელობით, დეპარტამენტში სრულდება სადოქტორო პროგრამები.

ნეიროქირურგიის დეპარტამენტის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში, აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამედიცინო ჟურნალებში.

პედაგოგიური პერსონალი: ნეიროქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი შოთა ინგოროყვა; ემერიტუსი გიორგი ინგოროყვა; ასისტენტ-პროფესორი ერეკლე ექვთიმიშვილი; სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი , ლაბორანტი მედეა ებრალიძე; მოწვეული პედაგოგები: ოთარ გახოკია, გიორგი გეგია.